საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მამია IV გურიელი

მამია IV გურიელი (გ. 1784), გურიის მთავარი 1726–56, 1758–65, 1771–76, გიორგი IV გურიელის ძე. მიუხედავად ოსმალთა მოძალებისა, აკრძალა ტყვის სყიდვა და 1748 სამხ. დახმარება სთხოვა ერეკლე II-ს. 1756 მ. IV გ. სოლომონ I-მა გადააყენა და მთავრად მისი ძმა გიორგი დასვა; იგი ერეკლე II-ს ეახლა და მისი შუამდგომლობითა და ახალციხის ფაშის დახმარებით ტახტი დაიბრუნა. მომდევნო ხანაში იგი ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლი სოლომონ I-ის მხარეზე გამოდიოდა. მონაწილეობდა 1759 საეკლ. კრებაში, 1757 ხრესილის ბრძოლაში. 1765 ოსმალებმა გადააყენეს და მთავრად გიორგი V გურიელი დასვეს. 1771 სოლომონ I-მა ისევ გაამთავრა. 1776 ტახტიდან გადააყენა გიორგი V გურიელმა.

ქ. ჩხატარაიშვილი